დადგენილება:**დ-31. 3125119001**
თარიღი:**29/04/2025**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №13

2025 წლის 29 აპრილი

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის იმ დასახლების განსაზღვრის შესახებ, სადაც არ არის ავტოსადგური, საიდანაც ხორციელდება საქალაქთაშორისო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა და სადაც სავალდებულო არ არის ავტოსადგურიდან რეისის გასვლა

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „კ^{2}“ პუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებისა და „საავტომობილო ტრანსპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის 6^{1} მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1. განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვარში არსებული დასახლება, კერძოდ ქ. ლანჩხუთის ადმინისტრაციული ერთეული, სადაც არ არის ავტოსადგური, საიდანაც ხორციელდება საქალაქთაშორისო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა და სადაც სავალდებულო არ არის ავტოსადგურიდან რეისის გასვლა.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2025 წლის 1 მარტიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი